დანართი №1

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის წევრთა ასარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომელის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
2. საკონკურსო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" თსუ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის № 91 დადგენილების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების და ამ რეგლამენტის საფუძველზე.
3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის და სულ მცირე 3 (სამი) წევრის შემადგენლობით.
4. საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
   - საკონკურსო პროცედურის ორგანიზაცია დადგენილი წესების შესაბამისად;
   - საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში:
     – შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
     – მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;
     – მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.
   - სათანადო საფუძვლის არსებობისას – კონკურსიდან საკონკურსო დოკუმენტების მოხსნა;
   - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენა და თსუ აკადემიური საბჭოსათვის მათი კანდიდატურების წარდგენა;

5. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება:
- საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზაცია დადგენილი წესებისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე;
- საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;
- სხდომებისათვის საკონკურსო დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;
- საკონკურსო კომისიის სხდომების წარმართვა;

6. საკონკურსო კომისიის სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.

7. საკონკურსო კომისიის მდივანი:
- კომისიის წევრებს ატყობინებს სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს;
- კომისიის წევრებს უზრუნველყოფს საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით;
- აწარმოებს საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმებს;
- ინახავს საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ მასალებს;
- ასრულებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებებს, რომლებიც საკონკურსო კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული.

8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

9. საკონკურსო კომისია დასკვნას ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

10. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია გაითვალისწინოს კონკურსანტის აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო პუბლიკაციები და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (გარდა ასისტენტ პროფესორისა).

11. საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნა ხდება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის არანაკლებ 3 წევრის თანდასწრებით.

12. საკონკურსო კომისიების მიერ უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტთა არჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან,

კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევების, დამსახურებისა და რეპუტაციის გათვალისწინებით. თითოეულ კონკურსანტზე შესაბამისი ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის (ხოლო დარგობრივი კომისიის არსებობის შემთხვევაში დარგობრივი კომისიის) მიერ ივსება შეფასების ფორმულარი (დანართი 1, დანართი 2, დანართი 3).

13. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.

14. კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა, ღია კენჭისყრით. თუ იმ კონკურსანტთა რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს ხმათა საჭირო რაოდენობა, აღემატება შესაბამისი საკონკურსო ადგილების რაოდენობას, ან კონკურსანტების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, გამარჯვებულის გამოვლენამდე.

15. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შემაჯამებელი ოქმის სახით დასამტკიცებლად წარედგინება თსუ აკადემიურ საბჭოს.

16. გასაუბრების ან საცდელი ლექციის ჩატარების შემთხვევაში საკონკურსო კომისია ითვალისწინებს შემდეგს:

გადმოცემის უნარი – კონკურსანტი ახდენს თუ არა თემის ცოდნის დემონსტრირებას, საუბარი არის თუ არა დამაჯერებელი, პრეზენტაცია არის თუ არა საინტერესო.

- ლოგიკური აზროვნების უნარი – საუბარი შედგება თუ არა ლოგიკურად ერთმანეთთან კავშირში მყოფი თემებისაგან, არის თუ არა საუბრის თემა ნათლად წარმოდგენილი, საუბარს აქვს თუ არა დასკვნითი ნაწილი.
- ქცევის, მეტყველების მანერა – არის თუ არა საუბარი გრამატიკულად გამართული. იყენებს თუ არა აკადემიურ ლექსიკას, როგორია აუდიტორიასთან კონტაქტი.

17. კონკურსანტთა მიერ ხმათა აუცილებელი რაოდენობის დაუგროვებლობის შემთხვევაში ადგილები რჩება ვაკანტური.

18. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს მოსთხოვოს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

19 . საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას საკონკურსო დოკუმენტაცია, თუ:

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას;

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაყალბებულია;
- კონკურსანტმა საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგინა კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები;
- არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე, ან საცდელი ლექციის ჩატარებაზე.

20. საკონკურსო კომისიის ყველა სხდომა არის დახურული.
21. საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს: სხდომის თარიღი, დამსწრეთა შემადგენლობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების შინაარსი, მიღებული გადაწყვეტილება და კენჭისყრის შედეგები.
22. საკონკურსო კომისიის სხდომების დღიურ ოქმებს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი, ხოლო შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
23. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია კონკურსის მსვლელობის შესახებ კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
24. საკონკურსო კომისიის შედეგებზე კონკურსანტთა პრეტენზიების განხილვა მოხდება თსუ აკადემიური საბჭოს №130 დადგენილებით განსაზღვრული წესით.
25. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსების შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის კანცელარიას. კონკურსანტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ქსეროასლები კი რჩება უნივერსიტეტის კანცელარიაში.
26. საკონკურსო კომისიის ლიკვიდაცია ხდება დაკისრებული ფუნქციების შესრულების შემდეგ.

დანართი 1.

## კონკურსანტის  შეფასების ფორმა

სახელი, გვარი ---------------------------------------------------------------------
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია ---------------------------------------------------------
-
საკონკურსო პოზიცია:
სრული პროფესორი ☐ ასოცირებული პროფესორი ☐ ასისტენტ პროფესორი ☐
მიმართულება ---------------------------------------------------------------------------
--
ქვემიმართულება -------------------------------------------------------------------------
---

## შეფასება

## I. კატეგორია:  ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1. PhD//საკანდიდატო დისერტაციის დაცვა
   ა) წელი ____________________________________________

   ბ) შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან  დიახ ☐  არა ☐

2.ჰაბილიტაცია/ სადოქტორო დისერტაციის დაცვა
   ა) წელი ____________________________________________

   ბ) შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან  დიახ ☐  არა ☐

*საერთო შეფასება I კატეგორიის  მიხედვით:*

| კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს | კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს |
|---|---|
| | |

## II.  კატეგორია:  პედაგოგიური გამოცდილების შესაბასმოსობა ვაკანსის პროფილთან

1. სწავლების გამოცდილება
   ა)  საერთო პედაგოგიური  სტაჟი)  ---------------------------------
   ბ) სწავლება  თსუ–ში --------------------წელი
   გ)  სწავლება სხვა  უნივერსიტეტში//ინსტიტუტში  --------------------- წელი

2. აპლიკანტის  მიერ  თსუ-ში წასაკითხად შემოთავაზებული სალექციო კურსების რაოდენობა ---------------------------------------------------------------------------

3. წარმოდგენილი სილაბუსების რაოდენობა --------------------------------

4. სალაბუსების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

- შეესაბამება ვაკანსიის პროფილს მოქმედი პროგრამების მიხედვით ☐
- სამომავლოდ სილაბუსი შეიძლება განხილულ იქნას არჩევით კურსად პროგრამებში ცვლილების შტანის შემდეგ ☐
- არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐

5. კონკურსანტის მიერ წაკითხული ლექციის შეფასება (საჭიროების შემთხვევაში)

მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

*საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით:*

| კვალიფიკაცია შესაბამება | კვალიფიკაცია არ შეესაბამება |
|---|---|
| | |

## III . კატეგორია - სამეცნიერო კვლევა:

1. დროის მონაკვეთი, პირველი პუბლიკაციიდან დღემდე ________ წელი
2. პუბლიკაციების საერთო რაოდენობა --------------------------------

ა) კვლევითი მონოგრაფიები ( ბოლო 5 წელი - 2004-2009წწ)

- რაოდენობა ---------------------------

ბ) სახელმძღვანელო (ბოლო 5 წელი)

- რაოდენობა ______________

გ) პუბლიკაციები *(სტატია, ტექსტის ან დოკუმენტის პუბლიკაცია, თარგმანი...)* საერთაშორისო ჟურნალებში (მათ შორის ელექტრონულში)

- რაოდენობა ------------------------------------------

დ) პუბლიკაციები *(სტატია, ტექსტის ან დოკუმენტის პუბლიკაცია, თარგმანი...)* ეროვნულ (მეცნიერულ) გამოცემებში(მათ შორის ელექტრონულში)

- რაოდენობა --------------------------------------

ე) სამეცნიერო ბროშურა (100 გვერდამდე)

- რაოდენობა----------------

ვ) პუბლიკაციები ეროვნულ (არასამეცნიერულ) გამოცემებში

- რაოდენობა----------------

3. ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული ერთი სამეცნიერო ნაშრომის შეფასება:

მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

4. **სამეცნიერო პრეზენტაციები** (ბოლო 5 წელი).

ა) პრეზენტაციები საქართველოში ( *სამეცნიერო ფორუმები, კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი ....)*

- რაოდენობა-------------------

ბ) საერთაშორისო პრეზენტაციები

- რაოდენობა ----------------------------------

*საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:*

| *მაღალი* | *საშუალო* | *დაბალი* |
|---|---|---|
| | | |

## IV კატეგორია: საგრანტო პროექტები (ბოლო 5 წელი სამეცნიერო)

ა) უცხოური სამეცნიერო სტიპენდია ---------------------------

ბ) ეროვნული სამეცნიერო სტიპენდია ---------------------------------
გ) უცხოური/საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა ----------
დ) ეროვნული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა/მენეჯერობა ----------
ე) უცხოურ გრანტში მონაწილეობა ----------------------------------------------
ე) ეროვნულ გრანტში მონაწილეობა ------------------------- -------------------

*საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით:*

| *მაღალი* | *საშუალო* | *გრანტი არა აქვს* |
|---|---|---|
| | | |

## V კატეგორია: სამეცნიერო კვლევების კონცეფცია

1. **ზოგადი ხედვის შეფასება** მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
2. **საკვლევი პრობლემების შეფასება** მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი

*საერთო შეფასება V კატეგორიის მიხედვით:*

| *მაღალი* | *საშუალო* | *დაბალი* |
|---|---|---|
| | | |

## VI. კატეგორია: ინტერნაციონალიზაცია

*უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პოექტებში მონაწილეობა, სამეცნიერო/სასწავლო მივლინება ან სტაჟირება და სხვ.*

- რაოდენობა -------------------------------------
- ხანგძლივობა ---------------------------------------

*საერთო შეფასება* ***VI*** *კატეგორიის მიხედვით:*

| *მაღალი* | *საშუალო* | *დაბალი* |
|---|---|---|
| | | |

## VII . კატეგორია: წვლილი საუნივერსიტეტო რეფორმასა და განვითარებაში

ა) თსუ-ში დაკავებული ადმინისტრაციული ან არჩევითი პოზიცია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე

----------------------------------------------------------------------------------------------------------------

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა

- საბაკალავრო ☐
- სამაგისტრო ☐
- სადოქტორო ☐
- უმაღლესი პროფესიული განათლების ☐
- უწყვეტი განათლების პროგრამება ☐

გ) ახალგაზრდა თაობის დაინტერსება თსუ-ში სწავლით ☐

დ) დრო, რომელიც კონკურსანტს შეუძლია დაუთმოს თსუ-ს

სრულად ☐ ნაწილობრივ ☐

*საერთო შეფასება VII კატეგორიის მიხედვით:*

| *მაღალი* | *საშუალო* | *დაბალი* |
|---|---|---|
| | | |

## საერთო რეკომენდაცია

| სრული პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ პროფესორი | არცერთი შეთავაზება |
|---|---|---|---|
| | | | |

## დარგობრივი კომისიის წევრების ხელმოწერა:

თარიღი --------------------------------

დანართი 2.

# Evaluation Form for Applications
# განაცხადების შეფასების ფორმა

Family name, given name
სახელი, გვარი
Current position/Employer
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია
Application for Full Professor ☐ Associate Professor ☐
განცხადება –თვის სრული პროფესორი ასოცირებული პროფესორი

| Ec. Principles | Micro | Macro | Economic Policy | Econo-metrics | Ec. Statistics | Internat. Econ. | Marketing | Finance | Mgt. and Informatics | Intl. Bus. | Account-ing | Tourism |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკის პრინციპები | მიკრო ეკონომიკია | მაკრო ეკონომიკა | პოლიტიკური ეკონომიკა | ეკონომეტრიკა | ეკონომიკური სტატისტიკა | საერთაშორისო ეკონომიკა | მარკეტინგი | ფინანსები | მენეჯმენტი და ინფორმატიკა | საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირება | საბუღალტრო აღრიცხვთვა | ტურიზმი |

## I Target Category: Formal Qualification
## I შეფასების კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაცია

2. PhD
    a. Year

    ა. წელი

    b. Institution

    ბ. ინსტიტუტი

    c. Topic/Thema

    გ. საგანი/თემა

3. Habilitation

2. ჰაბილიტაცია

    a. Year

ა. წელი

b. Institution

ბ. ინსტიტუტი

c. Topic

გ. საგანი/თემა

Qualification met ☐ *Qualification not met ☐
კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს / კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს

**II Target Category : Teaching Experience**

**II შეფასების კატეგორია: სწავლების გამოცდილება**

1. Teaching experience

1. სწავლების გამოცდილება

   a. Years at TSU

   ა. წლები თსუ–ში

   b. Years at other institutions

   ბ. წლები სხვა ინსტიტუტებში

   Direction

   მიმართულება

   c. List of the courses to be taught – with syllabi

   Submitted ☐ *Not submitted ☐
   გ. სალექციო კურსების ჩამონათვალი – (სილაბუსებით)

   კი ☐ არა ☐

   Qualification met ☐ *Qualification not met ☐

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს / კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს

**III Target Category: Research**

**III შეფასების კატეგორია: კვლევა**

1. Span from first publication to today years
1. დროის მონაკვეთი, პირველი პუბლიკაციიდან დღემდე ______წლები
2. Publications
2. პუბლიკაციები

a. Research monographs

ა. კვლევითი მონოგრაფიები

- Number
- რაოდენობა
- Year latest
- უკანასკნელი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

b. Textbooks

ბ. სახელმძღვანელო

- Number
- რაოდენობა
- Year latest
- უკანასკნელი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

c. International journal publications

გ. პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში

- Number
- რაოდენობა
- Year latest three
- უკანასკნელი სამი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

d. National (scientific) journal publications

დ. პუბლიკაციები ეროვნულ (მეცნიერულ) გამოცემებში

- Number
  - რაოდენობა
- Year latest three
  - უკანასკნელი სამი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

e. National trade publications

ე. პუბლიკაციები ეროვნულ (არამეცნიერულ) გამოცემებში

- Number
- რაოდენობა
- Year latest three
- უკანასკნელი სამი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

3. Research Presentations

3. კვლევითი პრეზენტაციები

a. National Presentations

ა. პრეზენტაციები საქართველოში

- Number
- რაოდენობა
- Year latest three
- უკანასკნელი სამი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

b. International Presentations

ბ. საერთაშორისო პრეზენტაციები

- Number
- რაოდენობა
- Year latest three
- უკანასკნელი სამი პუბლიკაციის გამოქვეყნების წელი

4. Supervised doctoral dissertations

4. სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობა
   a. Number
   რაოდენობა
   b. Year latest three
   უკანასკნელი სამი ხელმძღვანელობის წელი

5. Concept paper for Research

5. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია

Submitted ☐ *Not submitted ☐

| Overall Evaluation<br>საერთო შეფასება | | | | |
|---|---|---|---|---|
| International publications | Potential for International | High ranking national | National | *No publications |
| საერთაშორისო პუბლიკაციები | საერთაშორისო პუბლიკაციის დაწერის პოტენციალი | მაღალ რეიტინგული ეროვნული პუბლიკაცია | ეროვნული | არცერთი პუბლიკაცია |

6. Participation in grant programs

6. საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა

Yes ☐ (Grant Volume, if available: ) *No ☐

კი ☐ (გრანტის მოცულობა: ) * არა ☐

Contributes to the national or international research profile of the faculty (tick if yes) ☐

ხელს უწყობს ფაკულტეტის ეროვნული ან საერთაშორისო კვლევითი პროფილის განვითარებას (დადებითი პასუხის შემთხვევაში მონიშნეთ)

Contributes to the national or international visibility of TSU (tick if yes) ☐

ხელს უწყობს თსუ–ს ეროვნულ ან საერთაშორისო პოპულარობას (დადებითი პასუხის შემთხვევაში მონიშნეთ)

**IV Target Category: Internationalisation**
**IV შეფასების კატეგორია: ინტერნაციონალიზაცია**

1. Formal foreign qualification (where and which)
1. ფორმალური უცხოური კვალიფიკაცია (სად და რომელი)
2. Stays abroad
2. უცხოეთში ყოფნა
   a. Number stays
   ა. რაოდენობა
   b. Duration in months months
   ბ. ხანგძლივობა თვეებში
3. Foreign language skills
3. უცხო ენების ცოდნა
   a. Language 1
   ა. ენა 1
      i. Language
      - ენის დასახელება
      ii. Level fluent ☐ reading ☐ all other ☐
      - დონე სრულყოფილად, კითხვა, სხვა
   b. Language 2
   ბ. ენა 2
      i. Language
      - ენის დასახელება
      ii. Level fluent ☐ reading ☐ all other ☐
      - დონე სრულყოფილად, კითხვა, სხვა

**V Target Category: *University reform**
**V შეფასების კატეგორია: საუნივერსიტეტო რეფორმა**

| Active support in administrative role | Active support | Potential support |
|---|---|---|
| აქტიურად ადმინისტრაციული დახმარება | აქტიური დახმარება | პოტენციური დახმარება |

Administrative position(s) held
at TSU in last three years
თსუ ში დაკავებული ადმინისტრაციული პოზიცია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე

## Overall Recommendation
## საერთო რეკომენდაცია

| Full Professor Research | Full Professor Teaching | Associate Professor Research | Associate Professor Teaching | No offer |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სრული პროფესორი (კვლევა) | სრული პროფესორი (სწავლება) | ასოცირებული პროფესორი (კვლევა) | ასოცირებული პროფესორი (სწავლება) | არცერთი შეთავაზება |

**Vote of the Search Committee**
**შესარჩევი კომისიის, კენჭის ყრა**

☐ unanimous
ერთხმად
☐ not unanimous
არა ერთხმად
In favour
მხარს უჭერს
Against
წინააღმდეგია
Abstention
თავი შეიკავა

Chairman of the Committee
კომისიის ხელმძღვანელი

Minute Taker
ოქმის შემდგენელი

დანართი N 3

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი      კონკურსანტის შეფასების ფორმა

სახელი, გვარი ____________________

თანამდებობა, ____________________

მიმართულება

| | | ქ ვ ე მ ი მ ა რთულ ე ბ ე ბ ი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

I. სამიზნე კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1. PhD
   a. წელი _______
   b. ინსტიტუტი ____________________
   c. თემის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან: დიახ ☐ არა ☐
2. ჰაბილიტაცია
   a. წელი _______
   b. ინსტიტუტი ____________________
   c. თემის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან: დიახ ☐ არა ☐
3. **ეკვივალენტური გამოცდილება:** **დიახ** ☐ **არა** ☐

*საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით*

| კვალიფიკაცია | შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|
| | | |

II. სამიზნე კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1. სწავლების გამოცდილება
   a. თსუ, წლები: ____________
   b. სხვა უსდ, წლები: ____________
   c. საზღვარგარეთის უსდ, წლები: ____________
2. სილაბუსის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით
   a. სილაბუსი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო პროგრამის მიხედვით
      - სავალდებულო კურსი ☐
      - არჩევითი კურსი ☐
   b. სილაბუსი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ფაკულტეტზე მოქმედი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით
      - სავალდებულო კურსი ☐
      - არჩევითი კურსი ☐
   c. სილაბუსი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს თსუ ფაკულტეტებზე მოქმედი რომელიმე სხვა პროგრამის მიხედვით
      - ზუსტი და საბუნებისმეტყველო ☐
      - ეკონომიკა და ბიზნესი ☐
      - სოციალურ-პოლიტიკური ☐

- სამედიცინო ☐

d. სამომავლოდ სილაბუსი შეიძლება განხილული იქნეს არჩევით კურსად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემდეგ
- საბაკალავრო პროგრამა ☐
- სამაგისტრო პროგრამა ☐

e. სილაბუსი არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს ☐

კონკურსანტის მიერ სავალდებულო საკონტაქტო დატვირთვის შესრულების უზრუნველყოფა

| შემოდგომა 2009 | გაზაფხული 2010 | პროგრამაში ცვლილების შეტანის შემდეგ | შეუძლებელია |
|---|---|---|---|
| | | | |

f. კონკურსანტის მიერ წაკითხული ლექციის შეფასება*

მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

3. სახელმძღვანელოები (ბოლო 5 წელი)
   a. რაოდენობა ________
   b. თემის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან: დიახ ☐ არა ☐

*საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით*

| კვალიფიკაცია | შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|
| | | |

III. სამიზნე კატეგორია: სამეცნიერო შრომები

1. მონოგრაფიების რაოდენობა (ბოლო ხუთი წელი) ________
2. საერთაშორისო პუბლიკაციები (ბოლო ხუთი წელი)
   a. იმპაქტ ფაქტორის მქონე ________ ≥9 ☐ ≥4 ☐ ≥1 ☐ 0 ☐
   b. იმპაქტ ფაქტორის არ მქონე ________ ≥9 ☐ ≥4 ☐ ≥1 ☐ 0 ☐
3. პუბლიკაციები ადგილობრივ გამოცემებში ________≥9 ☐ ≥4 ☐ ≥1 ☐ 0 ☐
4. ციტირების ინდექსი*
   a. Harzig Publish or Perish: ______________
   b. ISI Web of Science: ______________
   c. ციტირება თვითციტირების გამოკლებით*
      i. Harzig Publish or Perish:______________
      ii. ISI Web of Science: ______________
5. ერთი საუკეთესო ნაშრომის დონე:
   a. აქტუალობა: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
   b. მნიშვნელობა: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

ნაშრომის საერთო შეფასება: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

*საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით*

| ძალიან მაღალი | მაღალი | საშუალო | დაბალი |
|---|---|---|---|
| | | | |

IV. სამიზნე კატეგორია: საგრანტო პროექტები(ბოლო ხუთი წელი)

1. საერთაშორისო: რაოდენობა __________ სტატუსი___________________
2. ეროვნული: რაოდენობა __________ სტატუსი___________________

*საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით*

| ძალიან მაღალი | მაღალი | საშუალო | გრანტი არ აქვს |
|---|---|---|---|
| | | | |

V. სამიზნე კატეგორია: სამეცნიერო კვლევების კონცეფცია

1. ზოგადი ხედვის შეფასება: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
2. პირადი წვლილის შეფასება: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
3. საკვლევი პრობლემების შეფასება: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

*საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით*

| ძალიან მაღალი | მაღალი | საშუალო | დაბალი |
|---|---|---|---|

VI. სამიზნე კატეგორია: წვლილი საუნივერსიტეტო რეფორმასა და განვითარებაში

1. არსებული
   a. სასწავლო პროცესის მოდერნიზაცია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად
      მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
   b. ინფრასტრუქტურის განვითარება
      მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
   c. ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ-ში სწავლით
      მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
   d. მდგრადი სერვისის უზრუნველყოფა სხვა ფაკულტეტებზე
      მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐
2. პოტენციური
   a. დრო, რომელიც კონკურსანტს შეუძლია დაუთმოს თსუ-ს
      i. სრულად: სასწავლო ☐ სამეცნიერო ☐
      ii. ნაწილობრივ: სასწავლო ☐ სამეცნიერო ☐
   b. პოტენციური შესაძლებლობა VI.1- ში მოყვანილი პუნქტების შესაბამისად
      1.a 1.b 1.c 1.d: მაღალი ☐ საშუალო ☐ დაბალი ☐

საერთო შეფასება სამიზნე კატეგორის მიხედვით

| მაღალი | საშუალო | დაბალი |
|---|---|---|
| | | |

VII. საერთო რეკომენდაცია

| სრული პროფესორი | ასოც. პროფ. | ასისტ. პროფ. | არ არის რეკომენდირებული |
|---|---|---|---|
| | | | |

VIII. კენჭისყრა

☐ ერთხმად

☐ არაერთხმად: მხარს უჭერს ________ წინააღმდეგია ________ თავი შეიკავა ________

დარგობრივი ჯგუფის წევრების ხელმოწერა: